ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა
"ნუცუბიძე 2014" - ის დამფუძნებელთა კრების

ოქმი № 16

ქ. თბილისი

25/04/2015წ

კრებას ესწრებოდნენ:

ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „ ნუცუბიძე 2014 " ის დამფუძნებელი წევრები: ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე, ნანა ზარქუა, თამარ გუჯაბიძე, თეკლა ფორჩხიძე, კახაბერ გოზალიშვილი.

კრების თა-რე — კახაბერ გოზალიშვილი,
კრების მდივანი — ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე.

დღის წესრიგი: ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის № 1858143 გადაწყვეტილებაში მითითებული მოთხოვნის შესრულების შესახებ.

მოისმინეს: ამხანაგობის თავ-რის კახაბერ გოზალიშვილის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნით საჭიროა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრების თანხმობა ნუცუბიძის ქ №129 ნაკვეთზე წარდგენილ პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემაზე.
აზრი გამოთქვა ანა ბაჯაძე-გუჯაბიძემ და თამარ გუჯაბიძემ რომელმაც მხარი დაუჭირეს არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნის შესრულებას .

დაადგინეს: 1. მიეცეს თანხმობა ნუცუბიძის ქ №129 ნაკვეთზე ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ №AR1300179 წარდგენილ პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. 2. უფლება მიეცეს ამხანაგობის თავმჯდომარეს კახაბერ გოზალიშვილს შემდგომში ერთპიროვნულად დადოს გარიგებები პროექტში ცვლილებებისა (კორექტირების) შეტანისა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

ამხანაგობა „ნუცუბიძე 2014“ის

თავმჯდომარე კახაბერ გოზალიშვილი

კრების მდივანი ანა ბაჯაძე-გუჯაბიძის რწმუნებული მიხეილ გუჯაბიძე
(მინდობილობა 05.06.2014 წლის № 140574662)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150405851
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.04.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თეიმურაზ ბურდილაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	94-60-78
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29324522387615

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაშვიდ აპრილს მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ც.დადიანის №10,

მომმართეს **მოქ. მიხეილ გუჯაბიძემ და კახაბერ გოზალიშვილმა.** მათ წარმოადგინეს ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა « ნუცუბიძე 2014 »-ის დამფუძნებელთა კრების ოქმი №16 და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად:

მოქ მიხეილ გუჯაბიძემ (დაბ 05.04.1975წ პ/№01024019677, მის ქ. თბილისი, შევარდენიძის ქ. №1, ბინა 70) და

მოქ. კახაბერ გოზალიშვილმა (დაბ. 10.04.1966წ პ/№01001008356, მის. გლდანის მე-6 მკრ, კორპ 29, ბ 65)–მომმართეს

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რომ ნოტარიუსი ადასტურებს მხოლოდ ტექსტზე ხელმოწერის ნამდვილობას და ტექსტის შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ აგებს. რის შემდეგაც **მიხეილ გუჯაბიძემ და კახაბერ გოზალიშვილმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე კრების ოქმს, რასაც ვამოწმებ

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **4.00** ლარი + რეგისტრაციის საფასური **2.00** ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე დღგ 0.72 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის შესაბამისად, სულ გადახდილია **6.72 ლარი.**

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე

ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა
"ნუცუბიძე 2014" - ის დამფუძნებელთა კრების

ოქმი № 1

ქ. თბილისი 17/06/2014წ

კრებას ესწრებოდნენ:

ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „ ნუცუბიძე 2014 " ის დამფუძნებელი წევრები: ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე, თამარ გუჯაბიძე, თეკლა ფორჩხიძე, კახაბერ გოზალიშვილი, ნანა ზარქუას რწმუნებული მიხეილ გუჯაბიძე (თანახმად მინდობილობისა, გაცემული 05.06.2014 წ. დამოწმებული ნოტარიუს კონსტანტინე ჯაფარიძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №140574630).

კრების თავ-რე კახაბერ გოზალიშვილი,
კრების მდივანი ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე.

დღის წესრიგი: ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის № 1335224 გადაწყვეტილებაში მითითებული მოთხოვნის შესრულების შესახებ.

მოისმინეს: ამხანაგობის თავ-რის კახაბერ გოზალიშვილის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნით საჭიროა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრების თანხმობა ნუცუბიძის ქ №129 ნაკვეთზე წარდგენილ პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემაზე.
აზრი გამოთქვა ანა ბაჯაძე-გუჯაბიძემ და თამარ გუჯაბიძემ რომელმაც მხარი დაუჭირეს არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნის შესრულებას .

დაადგინეს: 1. მიეცეს თანხმობა ნუცუბიძის ქ №129 ნაკვეთზე ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ №AR1227254 წარდგენილ პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. 2.უფლება მიეცეს ამხანაგობის თავმჯდომარეს კახაბერ გოზალიშვილს შემდგომში ერთპიროვნულად დადოს გარიგებები პროექტში ცვლილებებისა (კორექტირების) შეტანისა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე.

ამხანაგობა „ნუცუბიძე 2014"ის

თავმჯდომარე კახაბერ გოზალიშვილი

კრების მდივანი ანა ბაჯაძე-გუჯაბიძე

წევრები: ნანა ზარქუას რწმუნებული მიხეილ გუჯაბიძე

თამარ გუჯაბიძე

თეკლა ფორჩხიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140626860
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.06.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	კონსტანტინე ჯაფარიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #137
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599903320 8790945510
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	68972146471114

ორი ათას თოთხმეტი წლის თვრამეტ ივნისს მე, კონსტანტინე ჯაფარიძემ, ნოტარიუსმა ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #137, დავამოწმე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების - კახაბერ გოზალიშვილის (დაბადებული 10.04.1966 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, გლდანი, VI მ/რ, კორ. 29, ბინა 65. პირადი # 01001008356), ანა ბაჯაძე-გუჯაბიძის (დაბადებული 09.09.1978 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდენიძის ქ. კორ. 1, ბინა 70. პირადი # 31001001089), მიხეილ გუჯაბიძის (დაბადებული 05.04.1975 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდენიძის ქ. #1, ბინა #70. პირადი # 01024019677), თამარ გუჯაბიძის (დაბადებული 10.06.1981 წ. მცხეთაში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდენიძის ქ. #3, ბინა 15. პირადი # 31001010234) და თეკლა ფორჩხიძის (დაბადებული 13.08.1986 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, დ. ჭონქაძის ქ. 12. პირადი # 01017027598) ხელმოწერების ნამდვილობა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა `ნუცუბიძე 2014~ დამფუძნებელთა (მონაწილეთა) კრების ოქმზე (ოქმი #1 18.06.2014 წ.).

ხელმომწერებმა დოკუმენტს ხელი მოაწერეს ჩემი თანდასწრებით მას შემდეგ, რაც მათ განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამასთანავე, განემარტათ, რომ ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება არ ნიშნავს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და ხელმომწერთა უფლებამოსილების უნაკლობის ნოტარიუსის მიერ დამოწმებას, აგრეთვე ხელმომწერთა ნების ადექვატურად ასახვის უზრუნველყოფას ნოტარიუსის მიერ. მიხეილ გუჯაბიძემ დოკუმენტს ხელი მოაწერა, როგორც ნანა ზარქუას წარმომადგენელმა (რწმუნებულმა). მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მითითებულია წინამდებარე კრების ოქმში.

ეგზემპლარები: ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმდა დოკუმენტის ოთხ იდენტურ ეგზემპლარზე (დოკუმენტის ტექსტის (ერთი გვერდი) ბოლოს შესრულებული ხელმოწერების ნამდვილობა /სულ: ოცი ხელმოწერა/, რომელთაგან ერთი ხელმომწერების თხოვნით შეინახება სანოტარო ბიუროში, დანარჩენები გადაეცემათ ხელმომწერებს).

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31, 39 მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: ერთი ეგზემპლიარის საზღაური: 10.00 ლარი, ოთხი ეგზემპლიარის საზღაური: 40.00 ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი.

სულ: 42.00 ლარი

ნოტარიუსი: კონსტანტინე ჯაფარიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

43856458532214

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140574630

რეგისტრაციის თარიღი

05.06.2014 წ

ნოტარიუსი: კონსტანტინე ჯაფარიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #137
ტელეფონი: 599903320 8790945510

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თოთხმეტი წლის ხუთ ივნისს მე, ნოტარიუს კონსტანტინე ჯაფარიძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №137) მომმართა ქალბატონმა **ნანა ზარქუამ**. მან გამოხატა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა **„ნუცუბიძე 2014“-ში** თავის სრული წილის ბატონ **მიხეილ გუჯაბიძისათვის** მართვისა და განკარგვის უფლებით გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენისა და სანოტარო წესით დამოწმების ნება. მე დავადგინე მარწმუნებლის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნანა ზარქუამ** (დაბადებული 26.08.1955 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: მცხეთა, წმინდა ნინოს ქ. №16. პირადი №31001012313) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე **ნანა ზარქუას** ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე **ნანა ზარქუას**. აგრეთვე განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **ნანა ზარქუამ** წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მუხლი 1. მხარეები. ტერმინთა განმარტება

1. **მხარეები:**

ა) **საკუთრების მიმნდობი: ნანა ზარქუა** (დაბადებული 26.08.1955 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: მცხეთა, წმინდა ნინოს ქ. №16. პირადი №31001012313);

ბ) **მინდობილი მესაკუთრე: მიხეილ გუჯაბიძე** (დაბადებული 05.04.1975 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, კ. შევარდნიძის ქ. №1, ბინა №70. პირადი № 01024019677).

2. ამ მინდობილობაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მხარეები: საკუთრების მიმნდობი და მინდობილი მესაკუთრე ერთდროულად.

ბ) მინდობილი საკუთრება: ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა **„ნუცუბიძე 2014“-ში** საკუთრების მიმნდობის სრული წილი, რომელიც მართვისა და განკარგვის უფლებით გადაეცა მინდობილ მესაკუთრეს.

გ) მესამე პირი: ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, გარდა საკუთრების მიმნდობისა და მინდობილი მესაკუთრისა.

დ) გასხვისების, გაყიდვის, გაჩუქების, გაცვლის და ვალდებულებით დატვირთვის გარდა სხვა ნებისმიერი სამოქალაქო გარიგება.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

1. **ნანა ზარქუამ მიხეილ გუჯაბიძეს** მართვისა და განკარგვის უფლებით გადასცა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა **„ნუცუბიძე 2014“-ში** არსებული თავისი კუთვნილი სრული წილი.

მუხლი 3. მინდობილი საკუთრება

1. მინდობილი საკუთრება წარმოადგენს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა **„ნუცუბიძე 2014“-ში** საკუთრების მიმნდობის სრულ წილს.

მუხლი 4. ხელშეკრულების მიზანი

1. მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია მინდობილი საკუთრება გამოიყენოს მოგების მისაღებად, მართოს და განკარგოს იგი საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 5. მართვის ფორმა

1. მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია მინდობილი საკუთრება მართოს თავისი სახელით.
2. მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია მინდობილი საკუთრება მართოს პირადად.

მუხლი 6. მინდობილი მესაკუთრის

ნანა ზარქუა

უფლებამოსილების ფარგლები

1. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებებით. იგი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საზოგადოების წესდებით დადგენილი ყველა იმ უფლებით, რომელიც აქვს საკუთრების მიმნდობს, როგორც საზოგადოების პარტნიორს.
2. მინდობილ მესაკუთრეს უფლება არ აქვს უფლება ამ მინდობილობის საფუძველზე მინდობილი საკუთრება გაასხვისოს და/ან დატვირთოს რაიმე ვალდებულებით.
3. მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობა ეკისრება მინდობილ მესაკუთრეს.
4. მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს გადამწყვეტი ხმის უფლებით ნებისმიერ საკითხზე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა **„ნუცუბიძე 2014“-ის** დამფუძნებელთა (მონაწილეთა) საერთო და რიგგარეშე კრებებზე, გარდა საკუთრების მიმნდობის კუთვნილი წილის გასხვისების და/ან დაგირავების უფლებისა. რწმუნებულს არა აქვს საკუთრების მიმნდობის კუთვნილი წილის გასხვისებისა და ვალდებულებით დატვირთვის უფლება. საკუთრების მიმნდობის განცხადებით მინდობილ მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (გარდა საკუთრების მიმნდობის კუთვნილი წილის გასხვისების და/ან დაგირავების უფლებისა) კრების მუშაობისას მარწმუნებლის მიერ იქნება მოწონებული და უდაო.

მუხლი 7. გასამრჯელო მართვისათვის

1. მინდობილი მესაკუთრე მინდობილ საკუთრებას მართავს უსასყიდლოდ.

მუხლი 8. მართვის ხარჯები

1. მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ანაზღაურება ევალება საკუთრების მიმნდობს.

მუხლი 9. საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების წესი

1. მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია შეასრულოს მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებანი: გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახდელები.

მუხლი 10. მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა

1. თუ მინდობილი მესაკუთრე საკუთრების მიმნდობის ინტერესების მიმართ არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორიც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია საკუთრების მიმნდობს აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.
2. მინდობილი მესაკუთრე არ აგებს პასუხს მინდობილი საკუთრების გაუფასურებისათვის, თუ გაუფასურება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

მუხლი 11. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია საკუთრების მიმნდობს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებულ საქმიანობის შესახებ. იგი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის შენახვითაც საკუთრების მიმნდობი მართლზომიერადაა დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება, ან საკუთრების მიმნდობი მინდობილ მესაკუთრეს არ დართავს გამჟღავნების ნებას. ეს ვალდებულება ძალაშია ამ მინდობილობის მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 12. მინდობილობის ძალაში შესვლა და მოქმედების შეწყვეტის წესი

1. **ეს მინდობილობა ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.**
2. საკუთრების მიმნდობი უფლებამოსილია ეს მინდობილობა გააუქმოს ნებისმიერ დროს.
3. მინდობილი მესაკუთე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი თქვას მინდობილი საკუთრების მართვაზე. თუ მინდობილმა მესაკუთრემ მინდობილობა მაშინ შეწყვიტა, როცა საკუთრების მიმნდობი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველეყო მისი ინტერესები, მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია საკუთრების მიმნდობს აუნაზღაუროს მინდობილობის შეწყვეტით მიყენებული ზიანი გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას მინდობილობის შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.
4. ამ მინდობილობის მოქმედების შეწყვეტა არ არის საფუძველი იმ ნორმების გაუქმებისა, რომელიც ეხება ზიანის ანაზღაურების შესახებ მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს.

4

მუხლი 13. მინდობილობის ენა და ეგზემპლარების რაოდენობა

1. წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება კონსტანტინე ჯაფარიძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა საკუთრების მიმნდობს.
2. წინამდებარე მინდობილობა საკუთრების მიმნდობს ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. საკუთრების მიმნდობმა წაიკითხა და მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.
3. საკუთრების მიმნდობმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31, 39 მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 10.00 ლარი;
ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი.
სულ: 12.00 ლარი.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

საკუთრების მიმნდობი: **ნანა ზარქუა** ნანა ზარქუა

ნოტარიუსი: კონსტანტინე ჯაფარიძე

№40574630